მოკლე ბიოგრაფია
მათე ხვედელიძემ იურიდიული განათლება 2009-2013 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. მათე სწავლობდა კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე და 2014 წელს მიენიჭა კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა). 2015 წელს კი მათეს მიენიჭა თსუ-ს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა დოქტურანტურის საგანმამანთლებლო პროგრამაზე. 2024 წელს მათემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოში და გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში, Max-Planck-ის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევას და მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, მათე აქტიურადაა ჩართული აკადემიურ საქმიანობაში. მათე 2018 წლიდან ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, მათე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2018-2020), კავკასიის უნივერსისტეტის, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, ევროპის უნივერსიტეტისა (2024) და საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი. 2024 წელს მათე არჩეული იქნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად. 2025 წელს კი მათე არჩეულ იქნა კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებულ პროფესორად. მათეს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელოები (თანაავტორობით). გარდა ამისა, მათე ჩართულია მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობასა და შეფასებაში. ამავდროულად, ის კითხულობს ლექციებს კერძო სამართლის მიმართულებით. 2014 წელს მათემ წარმატებით ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. მათე ხვედელიძე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. იგი ეწევა აქტიურ საადვოკატო საქმიანობას და წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს სასამართლოში, მედიაციის პროცესსა და არბიტრაჟში.
გამოქვეყნებული სტატიები
1. The Prerequisites for Default Judgment and Grounds for the Vacation of Default Judgment as per the Civil Procedure Code of Georgia, EUROPEJSKI PRZEGLĄD PRAWA I STOSUNKÓW MIĘDZYNARODOWYCH nr 2/2024/70; 2. სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები,სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა/მონოგრაფია/თბილისი 2025 3. სინგაპურის კონვენციის კომენტარი,სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა/თანავტორი, რედაქტორი/თბილისი 2024 4. უცხოელი ინვესტორის კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილების განსაზღვრის კრიტერიუმები საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეულის“ 2023 წლის ორენოვანი (GEO, ENG) გამოცემა; 5. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში, სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა/თანავტორი/თბილისი 2023,

6. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვა და გადაწყვეტა ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის (ICSID) შესაბამისად, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეულის“ 2022 წლის ორენოვანი (GEO, ENG) გამოცემა;
7. შრომის სამართლის პრაქტიკული სახელმძღვანელო, სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა/თანავტორი/თბილისი 2021
8. ნომინალიზმის პრინციპი და ფულადი ერთეულის კურსის ცვლილების რისკის სახელშეკრულებო რეგულირება, ჟურნალი „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი/თანავტორი/N 4, 2020;
9. შრომით დავებში გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობისას უფლების დაცვის პროცესუალური საშუალებები, ჟურნალი „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი/თანავტორი/N 2, 2020;
10. სახელმწიფო შესყიდვებში ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული მოქმედების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, ჟურნალი „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი/ავტორი/N 4, 2019;
11. შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მიმართ მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ვადები, ჟურნალი „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი/ავტორი/N 3, 2019;
12. ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებისას წარმოშობილი დავის დროს გამოსაყენებელი სამართალი და კომპეტენტური სასამართლო ჟენევის 1956 წლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, N 6, 2018;
13. ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, N 4, 2018